შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირებისათვის

სამოქალაქო განათლება

თბილისი

2021

@2021 შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

სარჩევი

შესავალი	4
2021 წლის საგამოცდო ტესტის სიახლეები	5
სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა	6
ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები	11
რეკომენდებული ლიტერატურა	30
2020 წლის სამოქალაქო განათლების ტესტი და შეფასების სქემა	31

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2011 წლიდან ატარებს სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა გამოცდას. სამოქალაქო განათლების ტესტი ამოწმებს საგნის სწავლებისათვის სავალდებულო იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც განისაზღვრა საგამოცდო პროგრამით.

წინამდებარე კრებულის მიზანია, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს, აგრეთვე მასწავლებლობის მსურველებს გააცნოს გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა, საგამოცდო ტესტის ნიმუში და ტესტის შეფასების კრიტერიუმები. ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია 2021 წლის მასწავლებელთა გამოცდის სიახლეების შესახებ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოცდებს 2016 წლიდან ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ატარებს. ფორმატი მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებს. აპლიკანტი დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი ნაბეჭდ პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს.

ტესტის სტრუქტურისა და თითოეული ტესტური დავალების აღწერილობის წინასწარ გაცნობა დაგეხმარებათ გამოცდის უკეთ ჩაბარებაში. ტესტირების დროს საჭიროა დავალების ტექნიკური თუ შინაარსობრივი მოთხოვნების მაქსიმალური სიზუსტით დაცვა და პასუხების ფურცელზე დაკვირვებით მუშაობა.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ, უკეთ მოემზადოთ 2021 წლის პედაგოგთა სამოქალაქო განათლების საგნის გამოცდისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

სამოქალაქო განათლების 2021 წლის მასწავლებლის საგნის გამოცდის/ საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირების სიახლეები

2021 წლის სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტის ფორმატის განახლების შედეგად განისაზღვრა:

- **ტესტის მაქსიმალური ქულა - 55**
- **ტესტის შესრულებისათვის საჭირო დრო - 4 საათი**
- **ტესტურ დავალებათა რაოდენობა - 23**

2021 წლის საგამოცდო ტესტში აღარ შევა შემდეგი დავალებები:

დავალება N11 (1 ქულიანი) _ სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა ცოდნას შეამოწმებს 10 არჩევითპასუხიანი დავალება, ნაცვლად 11 დავალებისა;

დავალება N 19 (6 ქულიანი) _ დავალებაში მოცემული იყო ერთ თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი (პირობითად მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება) და შეფასების სქემა. აპლიკანტს მოეთხოვებოდა ტექსტების გაანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ქულების მინიჭება შეფასების სქემით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

2 ქულა გადანაწილდება სხვა ღია დავალებებზე.

დავალების ნომრები მითითებულია 2020 წლის ტესტის დავალებათა ნუმერაციის შესაბამისად (იხილეთ დანართში).

მასწავლებლის საგნის გამოცდა / საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირება

სამოქალაქო განათლება

2021 წლის საგამოცდო პროგრამა

სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს საზოგადოებრივ მეცნიერებებში (საბაზო და საშუალო საფეხური).

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
I. პროფესიული უნარ-ჩვევები	
1. კვლევა	1.1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების, ადგილისა და მნიშვნელობის გაანალიზება; 1.2. საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების ამოცნობა და მრავალმხრივი გაანალიზება; 1.3. საზოგადოებრივი, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამართლებრივი, სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციებისა და მნიშვნელობის გაანალიზება. 1.4. დემოკრატიული პრაქტიკის ანალიზი საზოგადოების ინტერესებთან, ტრადიციებთან და ღირებულებებთან მიმართებაში. 1.5. სამოქალაქო ცხოვრების, პოლიტიკისა და სახელმწიფოს მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი; 1.6. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლების ანალიზი; 1.7 სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის მოქალაქეთა შესაძლებლობების შესწავლა-ანალიზი; 1.8 საზოგადოებრივი ინტერესების განხორციელებისათვის სამოქალაქო მონაწილეობითი პროცესების მნიშვნელობის ანალიზი;
2. შეფასება	2.1. საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში პოზიციის გამომუშავება და არგუმენტირებულად დაცვა; 2.2. საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმართებაში სხვადასხვა მიდგომისა თუ პოზიციის კრიტიკულად შეფასება; 2.3. მოვლენების, პროცესებისა და პოზიციების შეფასებისას შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენება. 2.4 კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედი ხელისუფლების საქმიანობაში დემოკრატიის მიზნების, ღირებულებებისა და პრინციპების ასახვის შეფასება; 2.5. ქვეყნის დემოკრატიაში მოქალაქეების როლის, მათი პირადი პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებების შეფასება;

II. პროფესიული ცოდნა	
1. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლები და ძირითადი ცნებები**	1.1. საზოგადოებრივი მეცნიერებების ძირითადი საგანი და კვლევის ასპექტები. 1.2. პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები; 1.3. კულტურის არსი, რაობა და მისი მრავალფეროვნება; 1.4. რელიგია, როგორც კულტურული ფენომენი;
2. **საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოყენებული ძირითადი მეთოდები**	2.1. მსჯელობა - ფაქტი და მოსაზრება; 2.2. ანალიზი (მიზეზ-შედეგობრივი, შედარებითი, სიტუაციური); 2.3. სოციალური სტატისტიკა და ანალიზი; 2.4. კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.
3. **ადამიანის უფლებები და თავისუფლებები**	3.1. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საფუძვლები; 3.2. ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები; 3.3. უფლებებისა და თავისუფლებების არსი; 3.4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაცია; 3.5. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ფუძემდებლური დოკუმენტები.
4. **კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა**	4.1. კონფლიქტი: მისი მართვა, გადაჭრა, ტრანსფორმაცია, კონფლიქტის ანალიზის ტექნიკები; 4.2. კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის სტრატეგიები და ტიპები; 4.3. მშვიდობა, როგორც პროცესი – მისი არსი და სწავლების სტრატეგიები; 4.4. ფორმალური და არაფორმალური სამშვიდობო განათლება.
5. **მშვიდობიანი თანაარსებობა და მრავალფეროვანი გარემო**	5.1. უმრავლესობა, უმცირესობები, მოწყვლადი ჯგუფები; 5.2. თანასწორობა და დისკრიმინაცია; 5.3. ინტეგრაცია და ასიმილაცია; 5.4. სტერეოტიპები; 5.5. ტოლერანტობა: მისი არსი და განზომილებები.
6. **დემოკრატიის არსი და მისი ძირითადი ინსტიტუტები**	6.1. დემოკრატიის მიზნები, ღირებულებათა საფუძვლები და პრინციპები; 6.2. დემოკრატიის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები; 6.3. დემოკრატიული ინსტიტუტები და მათი მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში.

7. ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მათი ურთიერთქმედება	7.1. საზოგადოებრივი ინტერესები და სამოქალაქო საზოგადოება; 7.2. საზოგადოებრივი ინსტიტუტები და სისტემები; 7.3. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი კომპონენტები: არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ინტერესთა ჯგუფები და არაფორმალური საზოგადოებრივი გაერთიანებები; 7.4. სამოქალაქო მონაწილეობა.
8. მოქალაქეობა და მისი ასპექტები	8.1. მოქალაქეების სოციალური როლები; 8.2. მოქალაქის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა; 8.3. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიაში; 8.4. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის ინფორმირებული, დაფიქრებული და ეფექტური მონაწილეობის ფორმები. 8.5. სახელმწიფოს კონსტიტუციური დემოკრატიის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობა.
9. გლობალური პრობლემები და მისი მოგვარების გზები	9.1. სოციალური დაავადებები – ალკოჰოლიზმი და ნარკომანია; 9.2. არასრულწლოვანთა დამნაშავეობა; 9.3. განათლება და მისი ხელმისაწვდომობა; 9.4. დევნილები და ლტოლვილები; 9.5. სიღარიბე და მისი დაძლევის გზები; 9.6. მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები; 9.7. არათანაბარი განვითარება და კორუფცია; 9.8. ტრეფიკინგი; 9.9. სახელმწიფოს ძლიერების თანამედროვე მახასიათებლები და გლობალიზაცია; 9.10. საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები. 9.11 საქართველოს ურთიერთობების პრინციპები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან;
10. სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ძირითადი თეორიები	10.1. მმართველობა და თვითმმართველობა; 10.2. ძირითადი პოლიტიკური თეორიები და მათი არსი; 10.3. სახელმწიფოს ნიშნები, ფუნქციები, მოწყობა; 10.4. სახელმწიფოს ტიპები: მმართველობის ფორმები, საზოგადოებრივი წესწყობილება და პოლიტიკური რეჟიმები; 10.5 სამართლებრივი სახელმწიფო და მისი მახასიათებლები; 10.6. კანონის უზენაესობა და კანონიერება; 10.7. სამართლებრივი კულტურა; 10.8. საერთაშორისო სამართალის სახეები

	(ჰუმანიტარული, სისხლის სამართალი, გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებების, შრომის და ა.შ.) და მისი მნიშვნელობა; 10.9. საქართველოში სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ეტაპები; 10.10.საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობა და მისი კავშირი საერთაშორისო სამართალთან (საქართველოს კონსტიტუცია და მისი ძირითადი პრინციპები).
11. ეკონომიკის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები	11.1. ძირითადი ეკონომიკური სისტემები; 11.2. ბაზრები და მათი ტიპები; 11.3. ფული და მისი ფუნქციები; 11.4. ეკონომიკური საქმიანობა, ბიზნესის ფორმები, ორგანიზება და დაფინანსება; 11.5. კეთილდღეობის არსი და მნიშვნელობა; 11.6. საზოგადოებრივი სარგებლობის საქონელი და მომსახურება; 11.7. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და პოლიტიკა; 11.8. პროფესიონალიზმი და ცოდნის ეკონომიკა; 11.9. ეკონომიკური გარემო; 11.10. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები.

სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი (რეპროდუცირება);
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, დიაგრამა) წარმოდგენილი მასალიდან საჭირო ინფორმაციის გამოყოფა (იდენტიფიცირება);
- ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა სახით გამოხატვა (ტრანსფორმაცია);
- საპროგრამო მასალის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი (პროდუცირება);
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი (თავისუფალი პროდუცირება).

ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები

- *დავალება არჩევითი პასუხებით*

<u>დავალების აღწერა</u> _ დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ თქვენ მიერ არჩეული სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას, მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და განსხვავებების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, გამოვლენის უნარს. ამ ტიპის დავალებებით შემოწმდება ასევე საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნაც. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **რომელი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?**

ა. ევროპის სოციალური ქარტია

ბ. ადამიანის უფლებების საერთაშორისო ბილი

გ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

დ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

სწორი პასუხი: დ.

- **საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" განსაზღვრავს პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის წესს. კანონის თანახმად დასაშვებია:**

  ა. პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით;

  ბ. პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება წინასწარი ნებართვის გარეშე;

  გ. მოქალაქე იყოს ერთზე მეტი პარტიის წევრი;

  დ. პარტია იყოს სამეწარმეო იურიდიული პირი;

სწორი პასუხი: *პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით. კანონის მიხედვით, პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პარტიის წევრი, ხოლო მოქალაქეთა ჯგუფს პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება წინასწარი ნებართვის გარეშე შეუძლია.*

სწორი პასუხი: *ბ.*

- **ყურადღებით წაიკითხეთ პასტორ მარტინ ნიმიოლერის ცნობილი სიტყვები:**

„როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირის წევრი არ ვყოფილვარ. კათოლიკებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო..."

რა არის ამ სიტყვების ძირითადი იდეა?

ა. ნაცისტების მიერ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განადგურების ფაქტის აღწერა;

ბ. იმის დემონსტრირება, რომ სოციალურ ჯგუფებს არ ახასიათებთ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა;

გ. მოწოდება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას იმ სოციალური ჯგუფის უფლება, რომლის წევრიცაა;

დ. იმის გაცნობირება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას სხვისი უფლება, რომ თავად იყო დაცული.

სწორი პასუხი: დ

- **ყურადღებით გაეცანით დიაგრამას, რომელიც ასახავს ქალისა და მამაკაცის ქცევას ოჯახში. კერძოდ, საოჯახო საქმიანობაში მათ ჩართულობას:**



რომელი დასკვნა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

ა. საოჯახო საქმიანობას მხოლოდ ქალები ასრულებენ;

ბ. ჩვეულებრივ, გენდერული როლები ოჯახში მკვეთრადაა გამიჯნული;

გ. საოჯახო საქმიანობები თანაბრადაა განაწილებული ქალსა დ მამაკაცს შორის;

დ. საოჯახო საქმიანობას ოჯახში ძირითადად დაქირავებული პირი ასრულებს.

სწორი პასუხი: ბ

- *შესაბამისობის დადგენა*

<u>დავალების აღწერა</u> _ დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები იწერება პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მისი გამოყენების უნარს, ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების, განზოგადების, ინფორმაციათა შორის შესაბამისობის დამყარების, ინფორმაციის გაანალიზების უნარს. თითოეული დავალება 1 ან 2 ქულით ფასდება.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **ეფექტური კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მოსმენის უნარის განვითარება. I სვეტში მოცემულია მსმენელთა პასუხები მოსაუბრის გამონათქვამზე, შეუსაბამეთ II სვეტში მოცემულ პასუხის ტიპებს.**

I	II
მოსაუბრე: „ძალიან მიჭირს საქმეს თავი გავართვა, იმდენი რამ მაქვს მოსაწესრიგებელი, ხარისხიანად ვერაფერს ვაკეთებ“ *მსმენელთა პასუხი:* **ა.** „შარშან ზუსტად ასე ვიყავი, ვარჯიში დავიწყე და თითქოს მეტი ენერგია გამიჩნდა. ასე საქმესაც უკეთ მოასწრებ;“ **ბ.** „მესმის, სტრესულია, როდესაც ბევრი საქმე გაქვს და წესიერად ვერაფერს ასწრებ;“ **გ.** „რას ამბობ, შენ ხომ ყოველთვის ისეთი ორგანიზებული ხარ. ალბათ გარშემომყოფები არ გაცლიან, რომ შენს საქმეს მიხედო;“ **დ.** „მართლა? სამსახურის საქმეს გულისხმობ, თუ - სახლის?;“ **ე.** „ნუ იტყვი. მეც ასე ვარ. ამ ყველაფერს დროის არასწორი განაწილება იწვევს.“	**1. აქტიური მოსმენა** **2. ინტერპრეტაცია** **3. რჩევა**

სწორი პასუხი:

I	ა	ბ	გ	დ	ე
II	3	1	2	1	2

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

- **რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყანათა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს** (Heritage Foundation, 2015). **რუკის ანალიზის საფუძველზე, დაამყარეთ შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის.**



I.	II.
ა. ნარინჯისფერი ბ. მწვანე გ. წითელი დ. ყვითელი	1. ეკონომიკური თავისუფლების დაბალი დონე 2. ეკონომიკური თავისუფლების საშუალო დონე 3. ეკონომიკური თავისუფლების საშუალოზე მაღალი დონე 4. ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონე

სწორი პასუხი: **შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 1**

I	ა	ბ	გ	დ
II	2	4	1	3

- *თანმიმდევრობის განსაზღვრა*

<u>დავალების აღწერა</u> _ დავალებაში მოცემული ჩამონათვალი უნდა დალაგდეს მითითებული პრინციპის შესაბამისად (მოვლენათა ქრონოლოგია, პროცესის ეტაპების თანმიმდევრობა და სხვ.). პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცლის მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ ჩამონათვალის შესაბამისი ციფრი. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნასა და ცოდნის გამოყენების, ინფორმაციის მოცემული პრინციპის შესაბამისად დალაგების უნარს. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **დაალაგეთ საქართველოს მოქალაქის უფლებები საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით მათი გამოყენების ასაკის შესაბამისად:**

1. მოსამართლეობა
2. საკრებულოს წევრობა
3. საკუთარი ქონების განკარგვა
4. პრეზიდენტობის კანდიდატობა

სწორი პასუხი: ქონების განკარგვა _ 18 წლიდან, საკრებულოს წევრობა _ 25 წლიდან, მოსამართლეობა _30 წლიდან, პრეზიდენტობის კანდიდატობა _ 40 წლიდან,

3	2	1	**4***

* ბოლო პასუხი მითითებულია ცხრილში.

- **ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამონათვალი დაალაგეთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელის შესაბამისად:**

1. მიღწევა, სტატუსი, რეპუტაცია
2. დაცულობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება
3. პიროვნების განვითარება და რეალიზაცია
4. ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა

სწორი პასუხი: მოტივაციის იერარქიული თეორია: უსაფრთხოება, მიკუთვნება და სიყვარული, თვითპატივისცემა, თვითაქტუალიზაცია

2*	4	1	3

* პირველი პასუხი მითითებულია ცხრილში.

○ *ღია დავალება*

<u>**დავალების აღწერა**</u> _ დავალებაში მოცემულია შეკითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით გაეცანით პირობას და გაეცით კონკრეტული პასუხი. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ შესაბამის ადგილას. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მსჯელობის, არგუმენტირების, დასაბუთების, საკითხის ცოდნისა და ახსნის უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **ახსენით, რა არის სტერეოტიპი. დაასახელეთ სტერეოტიპული შეხედულების მაგალითი. რა უარყოფითი მხარე აქვს სტერეოტიპულ აზროვნებას.**

სწორი პასუხია:

სქემატური, განზოგადებული შეხედულება რაიმე სოციალურ მოვლენაზე ან ობიექტზე. ადამიანთა ჯგუფის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენის გავრცელება (პოზიტიური ან ნეგატიური თავისებურებების მიწერა) ჯგუფის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს წარმოდგენა კონკრეტულ ინდივიდებს. (1 ქულა)

მაგალითი _ ,,გერმანელები არიან შრომისმოყვარენი“, ,,ქალები ცუდად მართავენ მანქანას“. (1 ქულა)

უარყოფითი მხარე _ სტერეოტიპული აზროვნების დროს ხდება ადამიანების ან იდეების გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია. (1 ქულა)

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. შესაბამისი მაგილითის მოყვანა _ 1 ქულა, უარყოფითი მხარის ჩვენება _ 1 ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

- **გაეცანით სქემას და დაასახელეთ საწარმოო რესურსების სახეები:**



სწორი პასუხი:

ადამიანური; ბუნებრივი; კაპიტალური;

შეფასება: სამივე რესურსის სწორად დასახელება - 2 ქულა, ორი სწორი პასუხი -1 ქულა, მხოლოდ ერთი სწორად დასახელებული რესურსი - ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 2 ქულა.

- *შეცდომის გასწორება*

<u>**დავალების აღწერა**</u>:

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც გარკვეული ინფორმაცია შეცდომებით არის მოცემული. პედაგოგმა უნდა იპოვეს და შეასწოროს შეცდომები. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალებების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

- **ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, აღმოაჩინეთ და შეასწორეთ შეცდომები:**

1859 წლის 24 ივნისს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ სოლფერინოში გაიმართა ბრძოლა ავსტრიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის. თექვსმეტი საათის შემდეგ ბრძოლის ველზე 40 ათასი დაჭრილი და მოკლული ჯარისკაცი სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩა. ნანახით შეძრწუნებულმა ნორვეგიელმა ბიზნესმენმა ანრი დიუფურმა, თავის ოთხ თანამემამულესთან ერთად 1869 წელს დაჭრილთა დახმარების კომიტეტი დააარსა. მას შემდგომში თეთრი ლენტის საერთაშორისო კომიტეტი ეწოდა. დღეისათვის ეს საერთაშორისო მოძრაობა თითქმის ყველა ქვეყანაში საქმიანობს და დაახლოებით 100 მილიონ წევრსა და მოხალისეს აერთიანებს. შემუშავდა ორი კონვენცია, რომლებიც ომის წარმოების ჰუმანიტარულ წესების განსაზღვრავენ. ჰელსინკის კონვენციების სახელით ცნობილი ეს კონვენციები, დღესაც ძალაშია და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფუძემდებელ დოკუმენტს წარმოადგენენ.

სწორი პასუხი:

შეცდომითაა	**უნდა იყოს**
ნორვეგიელმა	შვეიცარიელმა
ანრი დიუფურმა	ანრი დიუნანმა
1869 წელს	1863 წელს
თეთრი ლენტის	წითელი ჯვრის
ორი	ოთხი
ჰელსინკის	ჟენევის

შეფასება: ყოველი ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი (წყვილი) 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა.

- *ილუსტრაციის ანალიზი*

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემულია ილუსტრაცია, რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. მოცემული დავალება ამოწმებს ილუსტრაციის მთავარი საზრისის, პრობლემის ანალიზის, სიმბოლოების გაგებისა და საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს, ასევე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს; ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

- **გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ კითხვებს:**

1. **რა პრობლემას ასახავს მოცემული ილუსტრაცია?**

2. **დაასახელეთ სამი ელემენტი, რომელთა გამოყენებითაც არის აგებული ილუსტრაცია და ახსენით, როგორ ქმნიან თქვენს მიერ დასახელებული საგნები ერთიან საზრისს.**

3. **იმსჯელეთ არგუმენტირებულად ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის შესახებ.**

სწორი პასუხის ნიმუში:

1. ადამიანის მიერ ბუნებისადმი ცუდად მოპყრობას.

2. ნაჯახი; ადამიანი; ხე. ილუსტრაციის მიხედვით, ადამიანი ნაჯახის საშუალებით ჩეხავს ხეს, რომელიც საკუთარი სხეულის ნაწილს წარმოადგენს. ანუ ბუნება, რომელსაც ადამიანი ცუდად ეპყრობა, უფრო მეტად არის ადამიანთან დაკავშირებული, ვიდრე მას ხშირად წარმოუდგენია.

3. მიმაჩნია, რომ ადამიანი, ხშირად ვერ აცნობიერებს თუ რამდენად გადაჯაჭვულია ის იმ გარემოსთან, რომელშიც ცხოვრობს. ხე შეიძლება მრავალმხრივ გამოსადეგია, როგორც რესურსი, მაგრამ იგი ამავდროულად ჟანგბადს წარმოქმნის, რის გარეშე ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ანუ შეიძება ითქვას, ხის მოჭრით ჩვენ თავსაც ვიკლავთ. მეორეს მხრივ, ბუნებასთან ურთიერთობა ადამიანს ეხმარება სულიერ განვითარებაში, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, რომელიც შეესაბამება კითხვას 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

- *პრობლემის გადაჭრა*

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემულია კონკრეტული პრობლემის მოგვარებისათვის დასახული მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრულყოფილი აღწერა. არსებული ინფორმაციის საფუძველზე მასწავლებელმა უნდა სრულქმნას პროექტი ისე, რომ პროექტის მიზანი, ამოცანები და განხორციელების გზები ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდეს. მოცემული დავალება ამოწმებს პრობლემის გადაჭრისა და პროექტის სტრუქტურების საბაზისო ცოდნას. მოცემული დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

- **დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; *(დავალება 3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანის და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 1)*

სასკოლო პროექტი		
1.	პროექტის მიზანი	*(ჩაწერეთ მიზანი რომლის მიღწევაცაა შესაძლებელი მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)*
2.	პროექტის ამოცანები	<u>I ამოცანა:</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)* <u>II ამოცანა:</u> ანტინიკოტინური კამპანიის წარმართვა სკოლაში
3.	განხორციელების გზები	<u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u> • გამოჩენილ სპორტსმენებთან მოსწავლეთა შეხვედრების მოწყობა; • „მხიარული სტარტების“ ჩატარება; • სპორტის მოყვარულთა კლუბის შექმნა. <u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u> *(დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)* *<u>1.</u>* <u>2.</u> <u>3.</u>

სწორი პასუხის ნიმუში:

1.1 1 ქ.

პროექტის მიზნის შესაბამისად განსაზღვრა და მკაფიოდ ჩამოყალიბება

<u>ნიმუში:</u> სკოლაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

1.2 1 ქ.

პროექტის ამოცანის განხორციელების გზების შესაბამისად და მკაფიოდ ჩამოყალიბება

<u>ნიმუში:</u> მოსწავლეთა სპორტული აქტივობის გაზრდა;

1.3 მაქსიმალური 3 ქ.

ყოველი დასახელებული განხორციელების გზა, რომელიც ამოცანის შესაბამისია - 1 ქ.

<u>ნიმუში:</u>

- *სიგარეტის მავნებლობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია;*
- *ანტინიკოტინური პოსტერების სასკოლო კონკურსის ჩატარება;*
- *ექიმებთან შეხვედრების მოწყობა;*
- *იმ ცნობილი ადამიანების მოწვევა, რომლებმაც მოწევას თავი დაანებეს;*
- *ანტინიკოტინური აქციების მოწყობა;*

- *არგუმენტირებული მსჯელობა*

<u>დავალების აღწერა</u>: დავალებაში მოცემულია წყარო (წერილობითი ან გრაფიკული). წყაროში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პედაგოგმა უნდა განსაზღვროს სადისკუსიო თემა, ჩამოაყალიბოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია და მოიყვანოს არგუმენტები თითოეული თვალსაზრისის სასარგებლოდ. დავალება ამოწმებს სადისკუსიო თემის სწორად განსაზღვრის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. დავალების მაქსიმალურ ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

- **გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

,,მე ჩემის შეგნებისა და გვარად მაქვს სურვილი ვემსახურო თქვენს სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას და ეროვნული საქმის განმტკიცებას. საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო ის, თუ რანაირად მესმის მე ეროვნული საქმის განმტკიცება…
ეკლესიაში არ არის განსხვავება ხალხთა შორის, სისხლის შთამომავლობით სხვადასხვაობას არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. …
… თაიგული მით უფრო მშვენიერია, რამდენად ის შემდგარია ფერად-ფერადი ყვავილებისაგან. ეს სავსებით შეგნებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს და ქართველი ერის ისტორია არ გვაძლევს სხვის რწმენისა და ენის დევნილობის მაგალითებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრით ფართე თავისუფლება როგორც საერო, აგრეთვე ეკლესიურ-სარწმუნოებრივ სფეროში."

ამბროსი ხელაია, სიტყვა სოხუმის საკათედრო ტაძარში ქართული საზოგადოების წინაშე (1918 წ).

1. ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა. დაასაბუთეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის შესაბამისობა მოცემულ ტექსტთან და მისი აქტუალობა.

2. დაასახელეთ ორ-ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის როგორც დასაცავად, ისე უარსაყოფად (თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).

სწორი პასუხის ნიმუში:

1. სადისკუსიო თემა: რელიგიური პლურალიზმი **დასაბუთება:** ტექსტში ნახსენებია თაიგულის მრავალფეროვნება მასში შემავალი ყვავილების სიმრავლით გამოწვევული. ვფიქრობ ეს სწორედ რელიგიური პლურალიზმის მაგალითია. თაიგული შეიძლება გავაიგივოთ საზოგადოებასთან, ხოლო ყვავილები განსხვავებული რწმენის მოქალაქეებთან.
2. არგუმენტები: **მტკიცებითი არგუმენტები:** I. ა. ქმნის თავისუფალ გარემოს მოქალაქეებისათვის, რათა მათ ის რელიგია ირწმუნონ, რომელიც მათ სურთ. II. აღმოფხვრის დაპირისპირებას სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის, რომელიც შეიძლება გაჩენილიყო რომელიმეს შეზღუდვის შემთხვევაში.
უარმყოფელი არგუმენტები: I. ა. ხელს უწყობს სხვადასხვა სექტის განვითარებას, რომელიც შესაძლოა არ იყოს მისაღები საზოგადოების ფართო მასებისათვის. II. რელიგია ძალიან ემოციური თემაა, სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის თანაარსებობა რთულია. არსებობს საშიშროება სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების.

შეფასება:

1. **მაქსიმალური 2ქულა**

2 ქულა: სადისკუსიო თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. შესაძლოა არ არის რეზოლუციის სახით ჩამოყალიბებული, თუმცა არის პრობლემატური, ორმხრივი და დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა; ასევე, მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ახსნილი სადისკუსიო თემის მიმართება მოტანილ ნაწყვეტთან/ ნაჩვენებია თემის აქტუალობა. **1 ქულა:** თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. არის პრობლემატური, ორმხრივი, დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა, თემის აქტუალურობის შესახებ მსჯელობა არადამაჯერებელია.

1 ქულა: თემა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ან ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ ტექსტს, თუმცა იძლევა დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას. მოცემულია დამაჯერებელი მსჯელობა თემის აქტუალურობის შესახებ.

0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არ შეესაბამება ტექსტს.

2. **მაქსიმალური 4 ქულა**

თითო მტკიცებითი არგუმენტი -**1 ქულა,** თითო უარმყოფელი არგუმენტი - **1 ქულა:** სადისკუსიო თემის შესაბამისი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მატარებელი, დადებითი ღირებულების მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება თითო ქულით; თითოეული არგუმენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.

რეკომენდებული ლიტერატურა:

- როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირებისათვის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2021.

- სამოქალაქო განათლება, ლექსიკონი-ცნობარი [I და II ნაწილი], მასწავლებლის ბიბლიოთეკა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010 / გაერთიანებული გამოცემა, 2011.

- გრიერ ბუროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული, სალომე დუნდუა, თამარ ქარაია. დემოკრატია და მოქალაქეობა, სამოქალაქო განათლების საუნივერსიტეტო კურსი [მეორე გამოცემა], საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), 2017.

- ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკა, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს მაცნე, 2008.

- ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, ლოგოს პრესი, 2004.

- თომას მ. მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

ასევე, სასურველია იცნობდეთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნის სწავლების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. ასევე, სამოქალაქო განათლების გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს (მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნებს).

ინტერნეტ რესურსები:

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/

  საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ციფრული ბიბლიოთეკის კოლექცია და სამოქალაქო განათლების ვირტუალური ბიბლიოთეკა შეიცავს მონაცემებს სამოქალაქო განათლების საკითხებზე შექმნილი წიგნებისა და მათი ავტორების შესახებ:
  - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php
  - CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php

- საქართველოს კონსტიტუცია (კონსოლიდირებული ვერსია), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

გაითვალისწინეთ, მითითებული ლიტერატურა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა, შეგიძიათ ისარგებლოთ თქვენთვის ხელმისაწვდომი სხვა ლიტერატურით.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-13, 21.1, 25.1-25.3)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. **საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, რომელი პრინციპების საფუძველზე ხორციელდება სამართალწარმოება?**

ა) თანასწორობისა და შეჯიბრებითობის;

ბ) დამსახურებისა და აღიარების;

გ) იერარქიისა და პრივილეგიის;

დ) ღიაობისა და სოლიდარობის.

2. კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის რომელი სტრატეგია ხასიათდება როგორც ასერტულობის, ისე პარტნიორობის დაბალი ხარისხით?

ა) შეგუება;

ბ) არიდება;

გ) კონკურენცია;

დ) თანამშრომლობა.

3. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, რისი ვალდებულება *<u>არ ეკისრება</u>* მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს?

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები;

ბ) შეხვდეს მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით;

გ) წარადგინოს წინადადება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ;

დ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობაში.

4. რომელი განმარტება *<u>არ შეესაბამება</u>* სოციალიზაციის ცნების შინაარსს?

ა) საზოგადოებრივი ქცევის მოდელებისა და თანაცხოვრებისათვის აუცილებლი უნარების დასწავლა;

ბ) კულტურასთან დაკავშირებული ღირებულებებისა და შეხედულებების შესწავლა;

გ) გარკვეული სოციალური როლების ათვისება და მორგება;

დ) საზოგადოების მხრიდან ადამიანის მარგინალიზაცია.

5. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, რომელი უფლება *<u>არ გააჩნია</u>* საქართველოში მცხოვრებ უცხოელს?

ა) თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის;

ბ) პირადი, ქონებრივი და სხვა უფლებების დასაცავად სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებისადმი მიმართვის, მიუხედავად თავისი სამართლებრივი მდგომარეობისა;

გ) საქართველოში მოქმედი პოლიტიკური გაერთიანებების წევრობისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის;

დ) საქართველოს მოქალაქის მსგავსად კულტურული ღირებულებებით სარგებლობის.

6. კონსტიტუციის შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?

ა) კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, თანამედროვე მნიშვნელობას XVII საუკუნიდან იძენს და დღეს იგი უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს წარმოადგენს;

ბ) კონსტიტუცია მიიღება მცირერიცხოვანი პრივილეგირებული სოციალური ჯგუფების საკეთილდღეოდ და სხვა ნებისმიერი კანონი მასთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს;

გ) კონსტიტუცია კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტია, რომელსაც პრეზიდენტის განკარგულებით ადგენს მინისტრთა კაბინეტი;

დ) კონსტიტუცია არანორმატიული სამართლებრივი აქტია, რომელიც დაყოფილია კლასიფიკაციათა სხვადასხვა ნიშნით: ფორმის, მოქმედების ვადის, ცვლილებების შეტანის მხრივ და სხვ.

7. სქემაზე მოცემულია პოლიტიკური კომპასი შესაბამისი პოლიტიკური ფიგურებითა და იდეოლოგიური მიმართულებებით. რომელი პოლიტიკური ფიგურა შეესაბამება კითხვის ნიშანს აღნიშნულ სქემაზე?



ა) რონალდ რეიგანი;

ბ) ფიდელ კასტრო;

გ) მაჰათმა განდი;

დ) მაო ძედუნი.

8. **რა ეწოდება პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც ინდივიდები თავიანთი ტალანტისა და ძალისხმევის საფუძველზე აღწევენ კარიერულ წინსვლას?**

ა) ოხლოკრატია;

ბ) მერიტოკრატია;

გ) არისტოკრატია;

დ) ავტოკრატია.

9. რომელი ისტორიული მოვლენა წარმოადგენს ჰუმანიტარული ჩარევის მაგალითს?

ა) 2014 წლიდან დაწყებული საერთაშორისო სამხედრო ინტერვენცია ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ;

ბ) რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსია 2014 წელს;

გ) 1939 – 1945 წლებში გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიების დაკავება;

დ) სირიაში 2011 წლიდან დაწყებული სამოქალაქო ომი, რომლის შედეგად მილიონობით ადამიანს მოუწია იძულებით გადაადგილება და ქვეყნის დატოვება.

10. რომელი განმარტება შეესაბამება ფუნდამენტალიზმის ცნებას?

ა) ანარქისტული მოძღვრება, რომლის ძირითადი პრინციპი ერთიანი სახელმწიფოებრივი სულისკვეთების ხელშეწყობა და ამავე დროს, კულტურული მრავალფეროვნების დაცვაა;

ბ) რელიგიური კონსერვატიზმის ფორმა, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვს რელიგიური მცნებების უპირობო შესრულებას და გამოირჩევა განსხვავებული რწმენის მქონე პიროვნებისადმი შეუწყნარებლობით;

გ) სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეთნიკურ გამორჩეულობას და ყოველნაირად ცდილობს მის შენარჩუნებას;

დ) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ძირითადი პრინციპი, რომელიც აღიარებს და ხელს უწყობს მრავალფეროვანი მოსაზრებებისა და პოზიციების თანაარსებობას.

11. რომელი მსჯელობა გადმოსცემს ანთროპოცენტრიზმის ცნების შინაარსს მართებულად?

ა) ღმერთის მიერ შექმნილი არსებებიდან ადამიანი ერთადერთი მორალური არსებაა, ამიტომ იგი ვალდებულია, რომ სხვა არსებები საშუალებად არ გამოიყენოს;

ბ) ბუნებაში არ არსებობს იერარქიები, შესაბამისად, ყველა არსება თანაბრად ღირებულია და ადამიანს მოეთხოვება დაიცვას ეს თანასწორობა;

გ) სამყაროს ცენტრში ადამიანი დგას, ხოლო ყველა სხვა არსება ბუნებაში ადამიანური მიზნების მიღწევის საშუალებას წარმოადგენს;

დ) ადამიანური ღირებულებების ცენტრში ბუნებაზე ზრუნვა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება დგას, რაც ევოლუციური განვითარების მაღალ საფეხურზე მიუთითებს.

12. დიაგრამა ასახავს საქართველოს მოქალაქეთა 2018 წლის დასაქმების სტატისტიკას (საქსტატი):



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

ა) ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შორის უმეტესობა ქალია;

ბ) როგორც უმუშევარ, ისე დასაქმებულ მოსახლეობას შორის უმეტესობა კაცია;

გ) როგორც დასაქმებულ ქალთა, ისე დასაქმებულ მამაკაცთა შორის, ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია;

დ) 2014 წლიდან 2018 წლამდე დასაქმებულ კაცთა რაოდენობამ მცირედით მოიმატა, ხოლო დასაქმებულ ქალთა რაოდენობამ მცირედით იკლო.

13. დავალებაში მოცემულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების 2014 წლის დასაქმების სტატისტიკა საქართველოში:

- საქართველოში დასაქმებული შშმ პირების 86,2% თვითდასაქმებულს წარმოადგენს, ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი დანარჩენ მოსახლეობაში 53,6%-ს შეადგენს.
- საქართველოში 96,102 შშმ პირთაგან 4,571 დაქირავებით დასაქმებულს წარმოადგენს, რაც დასაქმებულ შშმ პირთა 13.8%-ს შეადგენს.
- ევროპის ქვეყნებში შშმ პირთა დაქირავებით დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 33,6%-ს შეადგენს.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა) საქართველოში თვითდასაქმებული შშმ პირების პროცენტული მაჩვენებელი უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში;

ბ) საქართველოში შშმ პირებს დაქირავებით დასაქმების ისეთივე შესაძლებლობა აქვთ, როგორიც დანარჩენ მოსახლეობას;

გ) ევროპის ქვეყნებში თვითდასაქმებულ შშმ პირთა პროცენტული მაჩვენებელი უფრო ნაკლებია, ვიდრე საქართველოში;

დ) საქართველოში დაქირავებით დასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობა აღემატება თვითდასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობას.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№14)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

14. (1) სქემაზე მოცემულია კონფლიქტის ესკალაციის „ქარბორბალა“. დაალაგეთ კონფლიქტის ეტაპები მათი გამძაფრების მიხედვით:



5. უკიდურესი პოზიციების ფორმირება
4. კონფლიქტის გაღვივება
3. ალიანსების ფორმირება
2. დაპირისპირება
1. კომუნიკაციის დამახინჯება

4*				

*ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№15-17)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

15. (2) დააკავშირეთ I სვეტში წარმოდგენილი თითოეული სიმბოლო II სვეტში წარმოდგენილ შესაბამის რელიგიასთან:

I. რელიგიური სიმბოლოები		II. რელიგიები
ა) 	ბ)	1. დაოიზმი 2. ინდუიზმი 3. ისლამი 4. იუდაიზმი
გ)	დ) 	

16. (2) II სვეტში წარმოდგენილი ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ ლოზუნგებს:

I. ლოზუნგები	II. ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტები
ა) „არანაირი გადასახადები წარმომადგენლობის გარეშე!“ ბ) „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ გ) „ერთი ხალხი, ერთი იმპერია, ერთი ლიდერი!“ დ) „სიკვდილი ფაშიზმს, თავისუფლება ხალხს!“ ე) „უმჯობესია მკვდარი, ვიდრე წითელი.“	1. გერმანული ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ლოზუნგი მესამე რაიხის პერიოდში
	2. ანტი-კომუნისტური ლოზუნგი ცივი ომის პერიოდში
	3. იუგოსლავიელი პარტიზანების ლოზუნგი მეორე მსოფლიო ომის დროს
	4. ამერიკელი კოლონისტების ანტი-ბრიტანული განწყობა ამერიკის რევოლუციამდე
	5. ბოლშევიკების ლოზუნგი ოქტომბრის რევოლუციის დროს

17. (1) რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში პრესის თავისუფლების ხარისხს 2019 წლის მონაცემებით. II სვეტში მოცემული თავისუფლების ხარისხები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ ქვეყნებს:



I. ქვეყნები	II. თავისუფლების ხარისხები
ა) კანადა	1. ძალიან მაღალი
ბ) თურქეთი	2. მაღალი
გ) ფინეთი	3. საშუალო
დ) ირანი	4. დაბალი
ე) უკრაინა	5. ძალიან დაბალი

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№18)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

18. (7) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

ლიბერალური დემოკრატია

ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სახელმწიფოში მმართველობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა. დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულია მმართველობის დემოკრატიული ფორმა. სიტყვა „დემოკრატია“ მომდინარეობს ძველი ლათინური ენიდან და ხალხის მმართველობას ნიშნავს, რაც იმას გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები მოქალაქეთა უმრავლესობის ნების გათვალისწინებით მიიღება. ლიბერალური დემოკრატია მმართველობის ისეთი ფორმაა, სადაც დაცულია პიროვნების თავისუფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობას არ აქვს უფლება, უგულებელყოს ცალკეულ მოქალაქეთა უფლებები.

ლიბერალური დემოკრატიისათვის დამახასიათებელია პერიოდული არჩევნები, ხელისუფლების დანაწილება, პარტიული კონკურენცია და გეგმიური ეკონომიკის მოთხოვნებზე ორიენტირებული კერძო მეწარმეობა. გარდა ამისა, ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსია აწარმოონ, რითიც ხელი ეწყობა პროგრესსა და წინსვლას.

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია დასაბამს იღებს XVII-XVIII საუკუნეების ევროპაში არსებული ინტელექტუალური მოძრაობიდან, რომელსაც რენესანსი ეწოდება. ამ პერიოდიდან დაიწყო მმართველობის ფორმათა რევიზია, ეჭვქვეშ დადგა მმართველობის იმ დროისათვის გავრცელებული ფორმები: რესპუბლიკა და არისტოკრატია. სწორედ ევროპელმა ინტელექტუალებმა დააყენეს ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხი, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე დემოკრატიულ მმართველობას.

ამავე პერიოდში მოღვაწე შარლ ლუი დე მონტესკიეს დამსახურებაა, მაგალითად, ზემოთ ნახსენები ძალაუფლების განაწილების პრინციპის შემუშავება. ეს პრინციპი სახელმწიფო ძალაუფლების შემდეგ სამ შტოზე გადანაწილებას გულისხმობს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სახელისუფლებო. თომას ჰობსის და ჯონ ლოკის შრომებიდან პოლიტიკურ აზროვნებაში შემოვიდა „სამოქალაქო მდგომარეობის“ ცნება, რომელიც აღნიშნავს ადამიანთა ყოფას სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე. აღნიშნული ცნება ქვაკუთხედად იქცა სამართლიანობის, კანონიერებისა და სახელმწიფო ძალაუფლების საკითხების ახლებურად გააზრებაში.

ზოგადად ორი ტიპის დემოკრატიული მმართველობა არსებობს: პირდაპირი, რაც ხალხის მიერ სახელმწიფო გადაწყვეტილებებში უშუალო მონაწილეობას გულისხმობს და არსებობს წარმომადგენლობითი, სადაც მოქალაქეები საკუთარი წარმომადგენლების საშუალებით ახორციელებენ ძალაუფლებას. თუმცა ამ უკანასკნელშიც შეიძლება არსებობდეს უშუალო მონაწილეობის მექანიზმები, როგორებიცაა მაგალითად, მორატორიუმი და სხვ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№19)

დავალებაში მოცემულია ერთ თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი. ტექსტები შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს. თქვენი ამოცანაა ტექსტების გაანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ტექსტების შეფასება წინასწარ მოცემული სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით. შეფასება ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

19. **(6) დავალებაში მოცემულია ორი ტექსტი თემაზე „ადამიანის უფლებები“. ტექსტები შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს. გაეცანით ტექსტებს, გააანალიზეთ მათი შინაარსი და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული კრიტერიუმებით.**

I ტექსტი:

თანამედროვე საზოგადოებაში თითოეულ ადამიანს აქვს უფლებები, რომლებიც ეხმარება მას საკუთარი თავის რეალიზაციაში. სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს და დაიცვას ყოველი ადამიანის უფლება, რომელიც სამართლებრივი ნორმებით არის დადგენილი.

ადამიანის უფლებები საყოველთაოა, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი მთელ მსოფლიოში ყველა ადამიანს თანაბრად ეხება. ვინაიდან ადამიანი დაბადებიდანვე ფლობს ყველა იმ უფლებას, რომელთა ფლობისთვისაც მხოლოდ ადამიანად ყოფნაც საკმარისია, ამიტომ ამ უფლებათა დაკარგვა, ჩამორთმევა ან მათი მოქმედების შეწყვეტა შეუძლებელია. ეს ამ უფლებათა ხელშეუვალობის პრინციპზე მიუთითებს.

ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ადამიანის უფლებათა სამი თაობა გამოიყოფა, რომელთაგან პირველი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებია. ამ თაობას განეკუთვნება ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობის უფლებები; აგრეთვე სიტყვის თავისუფლება.

საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება გაეროს მიერ მიღებული არაერთი კონვენცია. მაგალითად, 1979 წელს მიღებული იქნა კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხოლო 1948 წელს - საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

II ტექსტზე გადასვლა

შეფასების სქემაზე გადასვლა

II ტექსტი:

დემოკრატიულ სახელმწიფოებში ადამიანის თვითრეალიზაციისათვის საჭიროა დაცული იყოს ადამიანის უფლებები. სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს თითოეული ადამიანის უფლებას და სამართლებრივი პასუხისმგებლობა აიღოს მათ განხორციელებაზე.

ადამიანის უფლებათა კლასიფიკაციისათვის მიღებულია მათი ქრონოლოგიური დაყოფა სამ თაობად. პირველი თაობის უფლებებში განიხილება ადამიანის ისეთი სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები, როგორებიცაა ხმის მიცემის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვ. მეორე თაობის უფლებები კი კოლექტიური ხასიათისაა და მის საფუძველს სოლიდარობის იდეა წარმოადგენს.

ადამიანის უფლებები უნივერსალური ხასიათისაა და ამასთანავე ურთიერთდამოკიდებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა უფლება ერთიანობაში განაპირობებს სისტემის ბალანსს, და მათი განხორციელების შესაძლებლობას. აღსანიშნია ისიც, რომ ადამიანის უფლებები განუსხვისებელია.

სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობის საფუძველზე იღებენ კონვენციებს, რის საფუძველზეც მათ ეკისრებათ ვალდებულება, რომ დაიცვან კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. მაგალითად საერთაშორისო დონეზე 1966 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაცის მიერ მიღებულ იქნა ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომლის საფუძველზეც ყველა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, პატივი სცეს და უზრუნველყოს მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე.

I ტექსტზე დაბრუნება *შეფასების სქემაზე გადასვლა*

გაეცანით შეფასების სქემას და ორივე ტექსტი შეაფასეთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. დაწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისთვის ცალ-ცალკე:

	I. კრიტერიუმები	II. მაქსიმალური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	ადამიანის უფლებათა თაობები	3	თითოეული სწორად <u>განმარტებული</u> უფლებათა თაობა - 1 ქულა
B.	ადამიანის უფლებათა პრინციპები	3	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> და <u>განმარტებული</u> პრინციპი - 1 ქულა
C.	გაეროს ძირითადი კონვენციები ადამიანის უფლებათა შესახებ	4	თითოეული სწორად <u>დასახელებული</u> და <u>დათარიღებული</u> კონვენცია - 1 ქულა

თქვენ მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში:

		A	B	C
19.1	I ტექსტის შეფასება			
19.2	II ტექსტის შეფასება			

I ტექსტზე დაბრუნება *II ტექსტზე დაბრუნება*

ინსტრუქცია

დავალება ღია დაბოლოებით (№20, 21.2, 21.3, 22, 23, 24, 25.4-25.7)

ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეესაბამებოდეს დავალების პირობას. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

20. (4) სქემა არასრულად ასახავს ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:

საერთაშორისო ორგანიზაცია	დაფუძნების წელი	შტაბ-ბინა	საქართველოს სტატუსი აღნიშნულ ორგანიზაციაში
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია	20.1	ნიუ-იორკი	წევრია 1992 წლიდან
20.2	1949	ბრიუსელი	არ არის წევრი
ევროპის საბჭო	1949	20.3	წევრია 1999 წლიდან
ევრაზიის ეკონომიკური კავშირი	2015	მოსკოვი	20.4

21. (3) მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს 2019 წლის მონაცემებს. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



21.1 რას ასახავს მოცემული რუკა?

ა) ქალთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) ადამიანის განვითრების ინდექსს;

გ) სასამართლოს თავისუფლებას;

დ) ალკოჰოლის მოხმარებას.

21.2 დაასახელეთ ორი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრციდან, სადაც ყველაზე ცუდი მდგომარეობაა რუკის მონაცემების მიხედვით.

21.3 რუკის მონაცემების გამოყენებით განსაზღვრეთ, რა მდგომარეობაა საქართველოში და იმსჯელეთ ამ მოვლენის განმაპირობებელი მიზეზების შესახებ.

22. **(5) დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და მათი განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზებიდან გამომდინარე *(დავალება 22.2);*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას *(დავალება 22.3);*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ამოცანებისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე *(დავალება 22.1).*

22.1	<u>**პროექტის მიზანი:**</u> *(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
22.2	<u>**პროექტის I ამოცანა:**</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა, I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).* <u>**პროექტის II ამოცანა:**</u> ***კანონის უზენაესობის პრინციპის მიმართ მოსწავლეებში პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება.***
22.3	<u>**I ამოცანის განხორციელების გზები:**</u> 1. ლექციის ჩატარება - ,,ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები“; 2. უფროსკლასელთა შორის დებატების გამართვა თემაზე - „მოქალაქე და სახელმწიფო“; 3. მოსწავლეთა კონფერენციის მოწყობა თემაზე - ,,სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები“. <u>**II ამოცანის განხორციელების გზები:**</u> *(დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა).* 1. 2. 3.

23. (3) გაეცანით 1907 წელს გამოცემული ფრანგული ჟურნალის გარეკანზე გამოსახულ ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



23.1 დაასახელეთ და ახსენით სკოლასთან დაკავშირებული რა მოვლენა არის აღწერილი ილუსტრაციაზე.

23.2 მოიყვანეთ ამ მოვლენის საწინააღმდეგო ერთი არგუმენტი.

23.3 იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია მსგავსი ტიპის მოვლენა საქართველოსთვის და რა როლს ასრულებს კანონმდებლობა მის დარეგულირებაში.

24. **(5) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

„არსებობს აგრეთვე სხვებისთვის სარგებლობის მომტანი ბევრი პოზიტიური ქმედება, რომლის შესრულებაც ადამიანს შეიძლება სამართლიანად აიძულონ: ასეთია სასამართლოს სხდომაზე ჩვენების მიცემა; კუთვნილი წილის შეტანა საზოგადოებრივ უსაფრთხოებაში ან ნებისმიერ სხვა საერთო საქმეში, რომელიც აუცილებელია იმ საზოგადოების ინტერესებისთვის, რომლის მფარველობითაც ის სარგებლობს; გარდა ამისა, ინდივიდუალური თანადგომის გარკვეულ ქმედებათა შესრულება, როგორიცაა თანამოძმის სიცოცხლის გადარჩენა ან დაუცველის მიმართ ბოროტად მოპყრობის აღსაკვეთად ჩარევა; ადამიანს სამართლიანად შეიძლება საზოგადოების წინაშე პასუხი ვაგებინოთ ისეთი რამის არგაკეთებისთვის, რისი გაკეთებაც აშკარად არის მისი მოვალეობა. ადამიანმა სხვებს არა მხოლოდ თავისი ქმედებებით შეიძლება მოუტანს ბოროტება, არამედ თავისი უმოქმედობითაც; და ორივე შემთხვევაში სამართლიანია, მას პასუხი ვაგებინოთ მათთვის მიყენებული ზიანისათვის.“

თავისუფლების შესახებ, ჯონ სტიუარტ მილი, 1806-1873 წწ.

24.1 ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალურობის შესახებ.

24.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).

25. **(8) გააანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:**

წყარო N1

„ურთიერთდამოკიდებულება არის თანამედროვე სამყაროს მახასიათებელი: კერძოდ, ეკონომიკურ სფეროში, სხვადასხვა ფასს შორის, სხვადასხვა ინდუსტრიას შორის, სხვადასხვა ქვეყანას შორის; უფრო ფართო საზოგადოებაში, ეკონომიკურ, კულტურულ და საქველმოქმედო საქმიანობას შორის; საზოგადოების მოწყობაში - ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოწყობებს შორის, ეკონომიკურსა და პოლიტიკურ თავისუფლებებს შორის. საერთაშორისო ჭრილშიც, ეკონომიკური გარიგებები ეკვეთება პოლიტიკურ გარიგებებს. საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობა ამკვიდრებს ერებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობებს, რომლებიც განსხვავდება კულტურითა და ინსტიტუციებით, ისევე როგორც თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის შიგნით ამკვიდრებს ჰარმონიულ ურთიერთობებს ინდივიდებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან რწმენით, განწყობებითა და ინტერესებით განსხვავდებიან. თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიოში, ისევე როგორც თავისუფალი ვაჭრობის მქონე ნებისმიერ ქვეყანაში, გარიგებები კერძო ერთეულებს შორის წარმოებს - ინდივიდებს, ბიზნეს საწარმოებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს შორის. პირობები, რომლებითაც ნებისმიერი გარიგება ხორციელდება, შეთანხმებულია გარიგებაში მონაწილე ყველა მხარესთან. გარიგება ვერ შედგება, ვიდრე ყველა მხარეს არ ეცოდინება, რომ მოგებული დარჩება. შედეგად, მრავალი მხარის ინტერესების ჰარმონიზაცია ხდება. თანამშრომლობა და არა კონფლიქტი არის წესი.“

მილტონ ფრიდმანი „არჩევანის თავისუფლება“, 1980 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 2 3

დავალებებზე გადასვლა: 25.1 25.2 25.3 25.4 - 25.7

წყარო N2

„ჩვენს თაობას დაავიწყდა, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წეს-წყობილება თავისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტიაა. ეს კი ასეა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოების საშუალებების გამგებლობა გადანაწილებულია უამრავ დამოუკიდებლად მოქმედ კონკურენტ ადამიანს შორის, რომელთაც შეუძლიათ თვითონვე გადაწყვიტონ, როგორ უნდა მოიქცნენ. როდესაც წარმოების საშუალებები მხოლოდ ერთ ხელშია მოქცეული, თუნდაც ეს იყოს „საზოგადოება“, როგორც ერთიანი მთლიანობა ან დიქტატორი, ვინც არ უნდა ახორციელებდეს ამ ზედამხედველობას, მას ჩვენზე სრული ძალაუფლება აქვს. ის, რასაც ეკონომიკური ძალაუფლება ეწოდება, შეიძლება ძალდატანების საშუალება იყოს კერძო პირების ხელშიც, მაგრამ ის ადამიანის მთელ ყოფაზე ვერასდროს გავრცელდება. მაგრამ მაშინ, როცა ეკონომიკური ძალაუფლება ცენტრალიზებულია, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ერთგვარი იარაღი, ისეთი ხარისხის დამოკიდებულებას ამკვიდრებს, რომელიც მონობისგან ძნელად თუ გამოირჩევა.“

ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰაიეკი ,,გზა ბატონყმობისკენ“, 1944 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 3 *დავალებებზე გადასვლა:* 25.1 25.2 25.3 25.4 - 25.7

წყარო N3

„კონკურენციის დადებითი შედეგების გამოყენებას ხელს არ უშლის გარკვეულ საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა. მაგალითად, სამუშაო საათების განსაზღვრა და ზოგიერთი სანიტარული ნორმის დადგენა, საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის მრავალმხრივ მზარდი სისტემის დამკვიდრება, შესაძლებელია, სრულიად შეესატყვისებოდეს კონკურენციის წესების დაცვას. მაგრამ არის აგრეთვე ისეთი სფეროებიც, სადაც კონკურენტული წყობა განუხორციელებელია. მაგალითად, ტყის გაჩეხვის მავნე შედეგები ან საწარმოო გამონაბოლქვთან დაკავშირებული ფაქტორები მხოლოდ კერძო მესაკუთრის უფლებების განხილვით ვერ შემოიფარგლება. მაგრამ ის, რომ სახელისუფლებო მითითებები უნდა გამოვიყენოთ იქ, სადაც კონკურენცია სრულყოფილი ვერაა, სავსებით არ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ უნდა ჩავახშოთ კონკურენცია იქ, სადაც შესაძლებელია მისი ამოქმედება. იმ პირობების შექმნა, რომლებიც კონკურენციას შესაძლებლობების ფარგლებში შედეგიანს გახდის - გაყალბებისა და თაღლითობისგან დაცვა, მონოპოლიების აღკვეთა - ის ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტა ქმნის ფართო და უეჭველ ასპარეზს სახელისუფლებო მოღვაწეობისთვის.“

ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰაიეკი ,,გზა ბატონყმობისკენ“, 1944 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 *დავალებებზე გადასვლა:* 25.1 25.2 25.3 25.4 - 25.7

25.1 მილტონ ფრიდმანის ტექსტის მიხედვით:

ა) პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროები ერთმანეთისაგან გამიჯნული სფეროებია;

ბ) ეკონომიკურ ურთიერთობებში გარიგება შეუძლებელია, თუ მხარეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რწმენით, განწყობებითა და ინტერესებით;

გ) საერთაშორისო ვაჭრობაში, სადაც სახელმწიფოების ეკონომიკური ინტერესები ერთმანეთს ეკვეთება, კონფლიქტი გარდაუვალია;

დ) თავისუფალი ვაჭრობა ხელს უწყობს კოოპერაციას როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყანას შორისაც.

წყაროებზე დაბრუნება: 1 2 3 *დავალებებზე გადასვლა:* 25.2 25.3 25.4 -25.7

25.2 N2 წყაროს მიხედვით:

ა) ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემა პოლიტიკური ძალაუფლების იარაღია, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის თავისუფლებას;

ბ) ვინაიდან ეკონომიკური საქმიანობა რისკებთან არის დაკავშირებული, სჯობს ის სახელმწიფომ აკონტროლოს;

გ) ვინაიდან ადამიანები თანაცხოვრობენ და ერთიანი მიზნისკენ მიისწრაფვიან, მნიშვნელობა არ აქვს ისინი ყველანი ინდივიდუალურად არიან ჩართულნი ეკონომიკურ საქმიანობაში, თუ ამას სახელმწიფო ახორციელებს;

დ) იმისათვის, რომ ქვეყანაში დიქტატურა არ დამკვიდრდეს, საწარმოო საშუალებებს ცალკეული მოქალაქეების მაგივრად მთელი საზოგადოება, როგორც ერთობა, უნდა ფლობდეს.

წყაროებზე დაბრუნება: 1 2 3

დავალებებზე გადასვლა: 25.1 25.3 25.4 - 25.7

25.3 N3 წყაროს მიხედვით:

ა) სახელმწიფოს მთავარი ამოცანა კერძო მესაკუთრეების უფლებების დაცვაა, რათა უზრუნველყოს ეკონომიკის ზრდა;

ბ) სრულყოფილი კონკურენციის დასამყარებლად სახელმწიფომ უნდა მოახერხოს საერთო საკუთრებაზე კონტროლის დამყარება;

გ) სახელმწიფომ შესაძლებელია მოახდინოს ზოგიერთი ეკონომიკური საქმიანობის ნაწილობრივი კონტროლი ისე, რომ კონკურენციის წესები არ დაარღვიოს;

დ) ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიც არის ტყის გაჩეხვა ან საწარმოო გამონაბოლქვთან გამკლავება უფრო ეფექტიანად მოგვარებადია, თუკი ამაზე კერძო მესაკუთრეები იზრუნებენ.

25.4 N3 წყაროში ჰაიეკი კონკურენციის მნიშვნელობაზე საუბრობს. დაასახელეთ ორი დადებითი მოვლენა, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკაში კონკურენციის არსებობას ახლავს თან.

25.5 როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება ეკონომიკური ძალაუფლების ცენტრალიზაციამ გამოიწვიოს „მონობის“ მსგავსი დამოკიდებულებების დამკვიდრება?

25.6 რა ნეგატიური შედეგი შეიძლება დადგეს, თუკი სახელმწიფო საერთოდ არ დაარეგულირებს მოქალაქეთა ეკონომიკურ საქმიანობას?

25.7 საქართველოს უახლოესი ისტორიის გათვალისწინებით, რა პოლიტიკურ-ეკონომიკურ რისკებს უკავშირდება საერთაშორისო ვაჭრობა? განიხილეთ ამ რისკებთან გამკლავების ერთ-ერთი გზა.

წყაროებზე დაბრუნება: *1* *2* *3*

დავალებებზე გადასვლა: *25.1* *25.2* *25.3*

სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტის შეფასების კრიტერიუმები

<table>
<tr><th>დავალება №</th><th>სწორი პასუხი</th><th>მაქსიმალური შეფასება</th></tr>
<tr><td></td><td>I. ცოდნა და უნარები</td><td></td></tr>
<tr><td>1.</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>2.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>3.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>4.</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>5.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>6.</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>7.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>8.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>9.</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>10.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>11.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>12.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>13.</td><td>გ</td><td>1</td></tr>
<tr><td>14.</td><td><table><tr><td>4</td><td>3</td><td>1</td><td>5</td><td>2</td></tr></table></td><td>1</td></tr>
<tr><td>15.</td><td><table><tr><td>I.</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td>II.</td><td>4</td><td>2</td><td>1</td><td>3</td></tr></table>2 ქულა: 4 სწორი პასუხი; 1 ქულა: 3 ან 2 სწორი პასუხი; 0 ქულა: 2- ზე ნაკლები სწორი პასუხი.</td><td>2</td></tr>
<tr><td>16.</td><td><table><tr><td>I.</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td></tr><tr><td>II.</td><td>4</td><td>5</td><td>1</td><td>3</td><td>2</td></tr></table>2 ქულა: 5 სწორი პასუხი; 1 ქულა: 4 ან 3 სწორი პასუხი;
0 ქულა: 3-ზე ნაკლები სწორი პასუხი.</td><td>2</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>17.</td><td>
<table>
<tr><td>I.</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td></tr>
<tr><td>II.</td><td>2</td><td>4</td><td>1</td><td>5</td><td>3</td></tr>
</table>
</td><td>1</td></tr>
<tr><td>18.</td><td>
ყოველი მართებულად შესწორებული
შეცდომა ფასდება 1 ქულით
<u>ნიმუში:</u>
<table>
<tr><th></th><th>შეცდომა</th><th>უნდა იყოს</th></tr>
<tr><td>18.1</td><td>ლათინური</td><td>ბერძნული</td></tr>
<tr><td>18.2</td><td>გეგმიური</td><td>საბაზრო</td></tr>
<tr><td>18.3</td><td>რენესანსი</td><td>განმანათლებლობა</td></tr>
<tr><td>18.4</td><td>რესპუბლიკა</td><td>მონარქია</td></tr>
<tr><td>18.5</td><td>სახელისუფლო</td><td>სასამართლო</td></tr>
<tr><td>18.6</td><td>სამოქალაქო მდგომარეობა</td><td>ბუნებითი მდგომარეობა</td></tr>
<tr><td>18.7</td><td>მორატორიუმი</td><td>რეფერენდუმი</td></tr>
</table>
<u>შენიშვნა:</u> სწორ პასუხში ქულა იწერება შეფასების სქემის მოცემულ ნიმუშში შეცდომათა ნუმერაციის შესაბამისად (აპლიკანტის პასუხების ფურცელზე შეცდომათა თანმიმდევრობის მიუხედავად).
</td><td>7</td></tr>
<tr><td>19.</td><td>
<table>
<tr><th></th><th></th><th>A</th><th>B</th><th>C</th></tr>
<tr><td>19.1</td><td>I მოსწავლის შეფასება</td><td>1</td><td>2</td><td>1</td></tr>
<tr><td>19.2</td><td>II მოსწავლის შეფასება</td><td>1</td><td>1</td><td>0</td></tr>
</table>
თითოეული სწორი შეფასება -1 ქულა
</td><td>6</td></tr>
<tr><td>20.</td><td>
20.1 მაქსიმალური 1 ქულა:
1 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი.
0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას.
</td><td>4</td></tr>
</table>

	20.2 მაქსიმალური 1 ქულა: **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **20.3 მაქსიმალური 1 ქულა:** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **20.4 მაქსიმალური 1 ქულა:** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი სწორი პასუხი. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასწორია / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას.	
21.	**21.1** ა. **21.2 მაქსიმალური 1 ქულა:** **1 ქულა:** სწორადაა დასახელებული ორივე ქვეყანა; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია/ არასწორია. **21.3 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დავალების პირობის შესაბამისი მსჯელობა/ არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული/ არასწორია /არასრულია/ არ შეესაბამება დავალების პირობას.	**3**
22.	**22.1 მაქსიმალური 1 ქულა:** **1 ქულა:** პროექტის მიზნის შესაბამისად განსაზღვრა და მკაფიოდ ჩამოყალიბება; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **22.2 მაქსიმალური 1 ქულა:** **1 ქულა:** პროექტის ამოცანის განხორციელების გზების შესაბამისად და მკაფიოდ ჩამოყალიბება; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **22.3 მაქსიმალური 3 ქულა** **1 ქულა:** ყოველი მკაფიოდ ფორმულირებული, დამოუკიდებელი განხორციელების გზა, რომელიც მოცემული ამოცანის შესაბამისია; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / ზოგადია, არ იძლევა მისაღწევი შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობას / არ შეესაბამება დავალების პირობას.	**5**
23.	**23.1 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი მსჯელობა / აზრი მკაფიოდ და გასაგებადაა ჩამოყალიბებული/ პასუხი სრულია / არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არასწორია / არ შეესაბამება დავალების პირობას.	**3**

	23.2 მაქსიმალური 1 ქულა **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი/ პასუხი სრულია / არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **23.3 მაქსიმალური 1 ქულა** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსჯელობა / პასუხი სრულია / არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას.	
24.	**24.1 მაქსიმალური 1ქულა** **1 ქულა:** სადისკუსიო თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს, შესაძლოა არ არის რეზოლუციის სახით ჩამოყალიბებული, თუმცა არის პრობლემატური, ორმხრივი და დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა; ასევე, მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ახსნილი სადისკუსიო თემის მიმართება მოტანილ ნაწყვეტთან, ნაჩვენებია თემის აქტუალობა. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას. **24.2 მაქსიმალური 4 ქულა** თითო მტკიცებითი არგუმენტი - **1 ქულა** თითო უარმყოფელი არგუმენტი - **1 ქულა** სადისკუსიო თემის შესაბამისი, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მატარებელი არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება თითო ქულით; თითოეული არგუმენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.	**5**
25.	**25.1 დ. 25.2. ა. 25.3 გ** **25.4 მაქსიმალური 1 ქულა:** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსჯელობა. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ ეყრდნობა მოცემულ წყაროებს / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას. **25.5 მაქსიმალური 1 ქულა:** **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას.	**8**

	25.6 1 მაქსიმალური 1ქულა: **1 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, მსჯელობა არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას. **25.7 მაქსიმალური 2 ქულა:** **2 ქულა:** მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. სრულად პასუხობს დავალების პირობას, არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. **1 ქულა:** მოცემულია გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. პასუხი არასრულია, ორი პირობიდან მხოლოდ ერთს პასუხობს. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული/ არასრულია/ არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული/ არ შეესაბამება დავალების პირობას. <u>შენიშვნა:</u> ღია დავალებებში მოცემული მსჯელობა, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას, დისკრიმინაციულ შეხედულებებს, არ შეფასდება.	
	ტესტის მაქსიმალური ქულა	**60**